ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს

სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი 15 იანვარი 2015 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე ნინო ხატისკაცი

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი ოთარ ნემსაძე

კომისიის წევრები: თეიმურაზ ჯაფარიძე, მერაბ გაგნიძე, გოჩა ბაბუნაშვილი, დიმიტრი მოსულიშვილი, ნუგზარ ხვედელიანი, ირაკლი ჩირაძე, ირაკლი მურღულია, მაკა შავიშვილი, ნინო ღოღობერიძე, ირაკლი მასხარაშვილი, ნინო გვენცაძე.

მოწვეულები: მიხეილ ბალიაშვილი, დავით კვირიკაძე, გიორგი ქუთათელაძე, ნიკოლოზ აბაშიძე, ომარ ჯაფარიძე, მერაბ ბოლქვაძე, ქეთევან ყრუაშვილი, იბეირო ცეზარი, გოჩა ლაცაბიძე, ვასილ ცომაია, გიორგი მერაბიშვილი, ნიკა მერაბიშვილი, ბექა კალანდაძე, დიმიტრი შალიკიანი, გიორგი ტაბატაძე, პაატა გუგუშვილი, რუსუდან მიქიაშვილი, გივი გოგოლაშვილი, ნანა ბაქრაძე, გიორგი საბაშვილი, აჩიკო კორკოტაძე, ვაჟა კუჭაშვილი, კახაბერ გულიაშვილი, მიხეილ აბულაშვილი, გივი ნადაშვილი, ნინო ფარცხალაძე, მაია მესხია, არჩილ ნარეკლიშვილი, კოტე ტყემელაშვილი, გიორგი ჭუმბურიძე, გიორგი ლომიტაშვილი, ლევან უზუნაშვილი, გიორგი სარალიძე, თემო კვირცხალია, თემურ რაზმაძე, ლევან ხუციშვილი, თინათინ მერებაშვილი, ილია ჯავახიშვილი, დარეჯან შათაშვილი, გიორგი კირკიტაძე, ლევან მასხარაშვილი, ანა ბიბილაშვილი, ბაკურ კიღურაძე, ნიკო ჯანაშვილი, შორენა

29.06.2007 წლის №7-14 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 20012 წლის 28 თებერვლის № 06.11.162 და დგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: მომხრე: 12.

10. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის სასწავლო–საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.011.408), საწყობისა და ოფისის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდისა და სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემის შესახებ.

განმცხადებელი – ბექა კალანდაძე. AR1277102.
დადგენილი ზონის სახეობა – საცხოვრებელი ზონა 2.
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,5, კ2=0,8.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0,8, კ2=1,6.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია. არსებული სიტუაცია იძლევა საშუალებას კოეფიციენტის გაზრდისა.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის სასწავლო–საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.011.408), საწყობისა და ოფისის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდისა და სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების კოეფიციენტი და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ1=0,8, კ2=1,6.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1ზ-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური

(ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.2007 წლის №7-14 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 20012 წლის 28 თებერვლის № 06.11.162 და დგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: მომხრე: 12.

11. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასლის შესახვევში, III კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.18.09.002.015), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – დიმიტრი შალიკიანი. **AR1277944.**
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,5, კ2=1,5.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0,6, კ2=2,2.

აზრი გამოთქვეს:

- არ არის მისაღები. მდინარის ხევში ასეთი განაშენიანება არ არის მიზანშეწონილი.
- არ არის მისაღები. დამუშავდეს გრგ, დადგინდეს რეგულირების ხაზი.
- არ არის მისაღები. დამუშავდეს მომიჯნავე ნაკვეთებთან ერთად პროექტი, სადაც დაფიქსირებული იქნება რეგულირების ხაზი და მოხდეს წითელი ხაზების მონაცვლეობა.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები. სამსახურმა განსაზღვროს მდინარის გაწვრივ შეზღუდვის ზონა და სასურველია მშენებლობა აწარმოონ მიმდებარე კორპუსის გასწვრივ.
- არ არის მისაღები. დამუშავდეს გრგ-ს ფარგლებში, მდინარეს დაედოს შეზღუდვის ზონა.
- არ არის მისაღები. მდინარეს დაედოს შეზღუდვის ზონა და განვითარდეს გრგ-ს ფარგლებში.
- არ არის მისაღები. სამსახურმა დაადგინოს შეზღუდვის ზონა მდინარის გასწვრივ. განვითარებაზე მსჯელობა შესაძლებელია სიღრმეში არსებული კორპუსის გასწვრივ, მიმდებარე საკადასტროსთან გაერთიანების შემთხვევაში შესაძლოა ცვლილებაზე მსჯელობა.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები. დამუშავდეს გეგმარებითი პროექტი, განისაზღვროს დუქნის ხევის შენარჩუნების ხაზი.
- არ არის მისაღები. შესაძლებელია იქნება ნაკვეთების გადალაგებით მდინარე დუქნისხევის სანაპიროდან მოშორებით, ჩრდილოეთით. შესაძლებელია დამუშავდეს ამ და მიმდებარე ნაკვეთებისთვის ზონის ცვლილებაზე საგრობის დაყენებით, დაცული იქნეს მდინარის დაცვის ზოლი რეგულირების ხაზით.

განმცხადებელი – თამარ შედანია. **AR1278568.**

აზრი გამოთქვეს:

- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები. გეგმარებით არეალში გათვალისწინებული იქნას „აქსისის" შენობა, აღიწეროს მწვანე ნარგავები.
- არ არის მისაღები. საჭიროა დამუშავდეს გრგ-ს დავალება და განისაზღვროს მიმართულება.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები. მომზადდეს გრგ-ს დავალებისთვის ტერიტორიის კვლევა.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები. მომზადდეს წინასაპროექტო კვლევა დავალების ჩამოსაყალიბებლად.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები. არ არის წარმოდგენილი შესაბამისი კვლევა დავალების გასაცემად.

უარი ეთქვას ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, თამარაშვილის ქ. №13, თამარაშვილის ქ.(იპოდრომის ტერიტორია)/თამარაშვილის ქ. №13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების გაცემაზე.

განხილვის შედეგი: მომხრე: 10.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ნინო ხატისკაცი**

კომისიის აღმასრულებელი მდივანი **თამარ ნემსაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №166

"24" იანვარი 2015 წ.

ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო–საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.011.408), საწყობისა და ოფისის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 161-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 166-ე მუხლის მე-3 ნაწილის“, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2014 წლის 15 იანვრის სხდომის №2 ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო–საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.011.408), საწყობისა და ოფისის განთავსების მიზნით, განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ1=0,8, კ2=1,6.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებელისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი“. ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში:GE02LB0125152101629159.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია